INTERNATIONAL CORPORATION
საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ

25.07.2012წ.

№486

არასამთავრო ორგანიზაციას

„საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი"

თქვენი გამოქვეყნებული სტატიის შესაბამისად, რომელიც ეხება მაღაზია „ბატაში" შეძენილ ე.წ „წუნდებულ" ფეხსაცმელს და შემდგომ მისი გადაცვლის პრობლემას მოგახსენებთ, რომ გამოქვეყნებული და გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტს და წარმოადგენს თქვენს მიერ სუბიექტურად დაუსაბუთებელ აზრს. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ყველა სხვა სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია თქვენს მიერ იმავე გვერდზე და მივაქციეთ ყურადღება იმ მომენტს, რომ ყველა მსგავსი სტატია ემყარება ექსპერტიზის გამოვლენილ ფაქტებსა და ინფორმაციას. ხოლო ჩვენი კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული ე.წ „წუნიანი" ფეხსაცმელის შესახებ სტატია, წარმოადგენს მხოლოდ მომხმარებლის და თქვენი საიტის აზრის კონსტანტირებას. ყოველ მიზეზგარეშე, მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია აუცილებლად საჭიროებდა ექსპერტიზის დასკვნას და მხოლოდ რეალური მიზეზის გამოვლენის შემდგომ უნდა მომხდარიყო ინფორმაციის განთავსება თქვენს ვებ-გვერდზე.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ"-ი დიდი ხნის კომპანიაა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მაქსიმალურად იზრუნოს თავის მომხმარებელზე, რისთვისაც დადგენილი გვაქვს კანონმდებლობით მონიჭებული და შიდა ინსტრუქციებით გამყარებული მომხმარებლის მიერ მათი უფლებების რეალიზაციისთვის ყველა ნორმა. თქვენი ორგანიზაციის მიერ დაუსაბუთებლად გამოქვეყნებული სტატიას მკითხველი და მაღაზია „ბატას" სავარაუდო მომხმარებელი შეჰყავს შეცდომაში, რის გამოც ჩვენს საზოგადოებას ადგება არა მარტო მატერიალური ზიანი, არამედ ელახება წლების განმავლობაში მოპოვებული სახელი და სტაბილურობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიმართლის დადგენის მიზნით, მივდივართ კომპრომისზე და ჩვენი ხარჯებით ვითხოვთ ექსპერტიზის ჩატარებას სადაო ფეხსაცმელზე. ექსპერტიზის დასკვის საფუძველზე, თუ ბრალეულ მხარედ გამოვლინდება ჩვენი საზოგადოება იმ დღესვე მოხდება ფეხსაცმლის ღირებულების ანაზღაურება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით დარღვეული უფლების აღსადგენად მოვითხოვოთ თქვენი მხრიდან საპასუხო სტატიის გამოქვეყნება შემლახველი ცნობების უარყოფით და ბოდიშის მოხდით.

პატივისცემით,

დირექტორი ნანი ანდიაშვილი

აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, თბილისი / Aghmashenebeli Alley 12 km., 0131 Tbilisi, Georgia
T +995.32.2.534000; 595522; 594433 F +995.32.2.543015
info@icr.ge icr.ge